## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №44 05.07.2016 წ.
## (*cpv 92214000 რადიო სტუდიების ან მოწყობილობების მომსახურება* )

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე დამტკიცებული 2011 წლის 07 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე.

**1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2.„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3.„მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4.„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5.„დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**2.ხელშეკრულების დამდები მხარეები.**

ერთის მხრივ **- სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ამირან თოიძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ – **ფ/პ რომან გიორგაძის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი). ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**3.ხელშეკრულების საგანი**

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის ხმის რეჟისურის, ჩანაწერის გასუფთავების და დამუშავების მომსახურეობის შესყიდვა, სასაკუთარი სახსრებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

**4.ხელშეკრულების ღირებულება**

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს – **562.50** ***(ხუთას სამოცდაორი და ორმოცდაათი ) ლარს*** კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
4.3. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის რეკვიზიტებზე.

**5. გასაწევი მომსახურების შესაბამისობა**

5.1.მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

**6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**
6.1.შემსყიდველი მომსახურების მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.
6.2.მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.3. ამ ხელშეკრულების ძალით გაწეული მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრატორი კახა ცინცაძე.

**7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების 3.1. მუხლით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს *05.07.2016 – 07.07.2016 წ.* ვადებში;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) სამუშაოს ჩაბარების ვადები განსაზღვროს მიმწოდებელთან შეთანხმებით;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

**8. ფორს-მაჟორი**

8.1.ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**9.ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2.ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 4 სამუშაო დღით ადრე.

9.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

9.5.შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**10. დავების გადაწყვეტის წესი**

10.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

11.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

12.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები შემსყიდველი:

**სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“,** იურიდიული მისამართი - საქართველო, ქალაქი რუსთავი, XII მკრ-ნი, საიდენტიფიკაციო კოდი 216297433, ტელ. (5-99) 18-13-67

*ხელმოწერა* ______________________ *ამირან თოიძე*

მიმწოდებელი:

**ფ/პ რომან გიორგაძე” (პ/ნ 60002014174)** საბანკო მონაცემები: ს/ს „ საქართველოს ბანკი” ბანკის კოდი : BAGAGE22 ა/ა GE27BG0000000718354000

*ხელმოწერა* ______________________ *რომან გიორგაძე*

მიღება-ჩაბარების

აქტი №

*თბილისი* 07/07 2016 წ.

ჩვენ, ამ დოკუმენტზე ხელისმომწერნი,

ერთის მხრივ - **სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ამირან თოიძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ – ფ/პ რომან გიორგაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ მხარეებმა შეასრულეს 2016 წლის *05 ივლისის* №44 *ხელშეკრულება*, (ხმის რეჟისურა, ჩანაწერის გასუფთავება და დამუშავება) ღირებულებით 562.50 ლარი.

*შემსყიდველი* *მიმწოდებელი*

*/ამირან თოიძე/* */რომან გიორგაძე/*